პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

12 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1985 წ.
№ 237 (9078)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.




„ზარია ვოსტოკას" პრიზზე

## თხუთმეტგზის!

მკაცრი გამომცდელი — ალბათ, ასე შეიძლება ვუწოდოთ თბილისის საერთაშორისო ტურნირს უკვე თხუთმეტგზის გამარჯვებულს — ჩვენი ქვეყნის პირველ ნაკრებს, რომელმაც ამჯერადაც ყველა მატჩი მოიგო და დამაჯერებლად დაეუფლა „ზარია ვოსტოკას" ტრადიციულ საპატიო პრიზს.

ბოლოსწინა ტურში ქვეყნის მთავარმა გუნდმა „გამოცდა მოუწყო" საქართველოს ნაკრებს. ჩვენი ხელბურთელები ძლიერ მეტოქეს შეხვედრის პირველ ნახევარში, ასე თუ ისე, უმკლავდებოდნენ — კარგა ხანს მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩებოდნენ ანგარიშში: უნდა ითქვას, რომ ძირითადად ანპილოგოვის წყალობით (ჩვენმა ლიდერმა იმ დღეს 13-ჯერ აიღო შიპენკოსა და დოროშენკოს კარი). მაგრამ ტაიმის დასასრულს რანგით უფროსებმა მაინც მოახერხეს 5 ბურთით უპირატესობა (19:14), მეორე ტაიმში კი უპირატესობა კიდევ უფრო მეტად გაზარდეს — 35:27.

შედარებით ძნელი გამოდგა ლიდერის ბრძოლა პოლონეთის ნაკრებთან. მატჩის პირველ ნახევარში ნაწილობრივ მეტწილად პოლონელები იყვნენ (სტუმართაგან თავი ისახელა ტლუჩინსკიმ — 7 ბურთი), მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და როცა შესვენების ჟამი დადგა, საბჭოთა ნაკრები უკვე ერთი ბურთით სჯობნიდა მეტოქეს — 12:11 (ეს ვალუცკასმა უპასუხა ზუსტი დარტყმით მეტოქის ლიდერის ვაშკევიჩის ასეთსავე შედეგიან გოლს). ამ დღეს განსაკუთრებული ქების ღირსი იყო კარშაკევიჩი. არა მარტო იმიტომ, რომ მის ანგარიშზეც 7 ბურთი იყო, უფრო იმიტომ, რომ მინსკელის ყოველ გამოჩენას მოედანზე ცეცხლოვანი იერიში მოსდევდა. ცხადია, მას კარგად აუბეს მხარი გამოცდილმა პარტნიორებმაც — უკლებლივ ყველამ, რაც გუნდის საკმაოდ თანაბარ ე. წ. „გრძელ სკამს" მიეწერება.

მიუხედავად ტურნირის ფავორიტთან დამარცხებისა, მეორე ადგილზე გასულმა პოლონეთის გუნდმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით შევაქებთ გუნდის კაპიტანს ვაშკევიჩს — საზრიან, თანაც შედეგიან ხელბურთელს. შეჯიბრების ბოლოსწინა ტურში პოლონელებმა საკმაოდ დამაჯერებლად სძლიეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 30:23 (15:11) და... გათამაშების ცხრილის ბოლოს თითო ქულით ორი კოლექტივი მოექცა — ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს გუნდები. მათი შეხვედრა კი, როგორც ცნობილია, ფრედ (24:24) დამთავრდა. ვინ დარჩებოდა უკანასკნელ ადგილზე? ამაზე პასუხი უნდა გაეცა უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელთა შორის გამართულ დასკვნით მატჩს. პირველი ნახევარი მოიგეს ჩეხოსლოვაკიელებმა (12:11), შეხვედრა კი — უნგრელებმა (23:20). აქ უკვე ძალაში შევიდა შეჯიბრების დებულების პუნქტი, რომლის მიხედვით უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც მეტი ბურთი აქვს გატანილი. ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

ტურნირზე ტრადიციულად გამოვლინდა ორ-ორი საუკეთესო მოთამაშე თითოეული გუნდიდან. ესენია: ვოლდემარ ნოვიცკი და იური შევცოვი (სსრ კავშირი), დანიელ ვაშკევიჩი და ზბიგნევ ტლუჩინსკი (პოლონეთი), პეტერ კოვაჩი და ლასლო ჰოფმანი (უნგრეთი), ამბერკი ტაბიძე და გოჩა დემეტრაშვილი (საქართველო), პეტერ მესიარეკი და მილან ჩერნი (ჩეხოსლოვაკია).

ბომბარდირთა პირველი სამეული ასე გამოიყურება: პეტერ კოვაჩი — 40 ბურთი, ალექსანდრე ანპილოგოვი — 34 და ვლადიმერ მიხუტა

(ნახ. მე-4 გვ.)

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

### თამაზ ნამგალაური



ათ წელიწადზე მეტია თამაზ ნამგალაურის გვარი არ სცილდება სპორტული პრესის ფურცლებს. ვინ მოთვლის ამ წლების მანძილზე რამდენ ჩემპიონატსა თუ ტურნირში მიუღია მონაწილეობა, რამდენჯერ გაუხარებია გულშემატკივრები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამაზ ნამგალაური ძიუდოს ქართული სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან, როგორც უაღრესად ტექნიკურმა, უშიშარმა, მუდამ ბრძოლის ჟინით ანთებულმა სპორტსმენმა ჭიდაობის მოყვარულთა დიდი სიყვარული დაიმსახურა, მისი სპორტული გზა ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა, შთამბეჭდავ გამარჯვებებს მარცხიც ხშირად ენაცვლებოდა ხოლმე, მაგრამ იგი კვლავ ძალას იკრებდა, მწყობრში დგებოდა და ახალი სპორტული სიმაღლეების დასალაშქრავად ემზადებოდა.

თამაზ ნამგალაური საიმედო, მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენია. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები ყველაზე საპასუხისმგებლო შეჯიბრებებზე მას აყენებენ გუნდში. წელს, ევროპის ჩემპიონატზე 71 კგ წონით კატეგორიაში სწორედ თამაზი იცავდა ჩვენი ნაკრების ღირსებას. ეს შეჯიბრება მაისში ნორვეგიის ქალაქ ჰამარში ჩატარდა. ქართველმა ფალავანმა ბრწყინვალედ იასპარეზა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი. ნორვეგიაში ნამგალაურმა ოთხი შეხვედრა მოიგო: ქვეჯგუფში დაამარცხა ბელგიელი რობერ ვან დე ლისტი, რუმინელი ჯორჯე ჩუვატი და ინგლისელი კერიტ ბრაუნი, ფინალში კი ფრანგ რიპარდ მელილოს აჯობა.

წლეულს თამაზ ნამგალაურმა კონტინენტის ჩემპიონის კიდევ ერთი ოქროს მედალი მიიღო — ამჯერად გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის. ეს ტურნირი ნოემბერში ბელგიაში მოეწყო. საინტერესოა, რომ ევროპის გუნდურ პირველობას კარგა ხნის მანძილზე საბჭოთა ნაკრები იგებდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე ასპარეზობა ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. ამჯერად კვლავ საბჭოთა ძიუდოისტებმა იმარჯვეს. თამაზ ნამგალაურთან ერთად გუნდში, როგორც გახსოვთ კიდევ ორი ქართველი ფალავანი გამოდიოდა — შოთა ხაბარელი და ფირუზ მარგიანი.

საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, „მეგობრობა—84"-ის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორი — აკეთია სპორტის დამსახურებული ოსტატის თამაზ ნამგალაურის (მწვრთნელი — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ანზორ მარტყოფლიშვილი) ძირითად სპორტულ გამარჯვებათა ნუსხა.

## თასი თბილისელებს გადაეცათ

ერევანში დამთავრდა 1969-70 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა ასპარეზობა ხელბურთში სომხეთის განათლების სამინისტროს თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რუსეთის ფედერაციის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლენინგრადის გოგონათა და საქართველოს, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ლენინგრადის ჭაბუკთა გუნდები.

წარმატებით იასპარეზა საქართველოს გოგონათა გუნდმა (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ არაქელოვი). მან დაამარცხა ყველა მეტოქე — ლენინგრადის (24:20), აზერბაიჯანის (18:10), რუსეთის ფედერაციის (23:11), სომხეთის (23:10) გუნდები და საპატიო პრიზი მოიპოვა.

მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს ტურნირში გამარჯვებულ სომხეთის გუნდთან (30:34) ჩვენმა ჭაბუკებმა (მწვრთნელები რევაზ ჭანტურია და მერაბ მეტრეველი). დანარჩენ შეხვედრებში მათ დაამარცხეს ლენინგრადის (29:27), აზერბაიჯანის (30:25), ლატვიის (39:31) გუნდები და მეორე ადგილზე გავიდნენ.

აღსანიშნავია გოგონების — ნატო გამრეკელაშვილის, რაია სავინსკაიას, მაია გნოლიძის, სვეტლანა ნოვიკოვას, ჭაბუკების — გელა გაბარაევის, ზურაბ ტროყაშვილის, ბესიკ ოსკოპელის, ვახტანგ მეიფარიანის კარგი თამაში.

(„ლელოს" კორ.).

## ჩვენი სტუდენტების დიდი წარმატება

ლენინგრადში, ვ. მიაგკოვის სახელობის ფიზკულტურის სახლის ...ვის დარბაზში ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო ტურნირი კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ...ერთმეტი უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენები, მათ შორის იყო ...ექვსი სპორტის ოსტატი, 21 ოსტატობის კანდიდატი და 40 პირველთანრიგოსანი.

საქართველოს სტუდენტთა ღირსება ნევისპირა ქალაქის რინგზე წარმატებით დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა. 60-63,5 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის პირველკურსელმა კახაბერ შალამბერიძემ (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ნ. ქიქავა). 71-75 კგ წონით კატეგორიაში მეორე იყო სპორტის ოსტატი ბონდო მამულაშვილი.

კვლავ დაუბრუნდა რინგს მოსწავლეთა შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მეორე კურსის სტუდენტი ვასილ კვანტალიანი (71 კგ), რომელიც მძიმე ტრავმის გამო წელიწადნახევარი არ გამოსულა სარბიელზე. მან ინტენსიური ვარჯიში მხოლოდ სექტემბრიდან დაიწყო. და აი, ჯერ თავი ისახელა საქართველოს თასის გათამაშებაში, სადაც II ადგილს დაეუფლა, ახლა კი, ლენინგრადში, გარდა იმისა, რომ I ადგილი მოიპოვა, ტურნირის საუკეთესო მოკრივის სახელიც მოიხვეჭა: ვასილს ტექნიკური მოკრივისათვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი გადასცეს.

**ვახტანგ ყველიაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.**





14 დეკემბერს, 5 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება საინტერესო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელიც 1985 წლის აბსოლუტურ ჩემპიონს გამოავლენს.

გათამაშდება წარსულში გამოჩენილი ფალავნების: დავით ხიზამბარელის, კულა გლდანელის, ნესტორ ეხვაიას(?), კონსტა მაისურაძის, იაკობ ებნატაშვილის, შოთა პირელის, ხანდრო კანდელაკის, არსენ მეკოკიშვილის, ზაქარია ბაკურაძისა და ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზები.

სპორტის სასახლის დირექცია გიწვევთ ამ საინტერესო შეჯიბრებაზე.

# მოლოდინი კი ძალზე გაჭიანურდა

ახალი სპორტული ნაგებობა მაშინ შეიძლება მივითვალოთ სათვალავში, როცა იგი საბოლოოდ და ყოველმხრივ მოწესრიგებულია, როცა იქ სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა ჩქეფს. სიღნაღის ახალ სპორტულ კომპლექსში კი, რომელიც კარგა ხანია საექსპლუატაციოდ უნდა გადაცემულიყო, დღემდე უამრავი ხარვეზია გამოსასწორებელი.

მართალია, თავდაპირველად ეს სიხარული ხევდანარევი იყო, მაგრამ მერე და მერე თითქმის ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ სიღნაღში რაიონის ცენტრალური სტადიონი უნდა გაუქმებულიყო და მის ადგილზე უნიკალური სპორტული კომპლექსი აეგოთ. ცხადია, ძნელი დასათმობი იყო სტადიონი, რომელსაც ხალხი შეეჩვია, მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო — სიღნაღს რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობა ექნებოდა. ასეა თუ ისე, სტადიონი გაუქმდა, მის ნაცვლად კი, რაც მართალია, მართალია, სულ მალე წამოიჭიმა შესანიშნავი სპორტული კომპლექსი. ამასთან, არც ახალი სტადიონის აშენების საკითხი მოხსნილა დღის წესრიგიდან.

სიღნაღელები სიამაყით შესცქეროდნენ ახალ ნაგებობას, მაგრამ მისი საექსპლუატაციოდ გადაცემა უსაშველოდ გაჭიანურდა. საქართველოს პროფსაბჭოსა და რაიონის ახალი ხელმძღვანელობის მცდელობა, რომ სპორტული ბაზა დროულად ჩამდგარიყო მწყობრში, ამაო გამოდგა. თავი იჩინა ანდა საპროექტო ორგანიზაცია უნდა დათანხმდეს, რომ ბრტყელი გადახურვა დაქანებული სახურავით შეიცვალოს. მეორე ვარიანტი უფრო მისაღებად მიგვაჩნია: უამრავი მაგალითით დასტურდება, რომ ჩვენში ბრტყელმა სახურავმა იმედი არ გაამართლა, სადაც კი ნაგებობები ასე გადაიხურა, ყველგან წყალი ჩადის შენობაში. ვფიქრობთ და იმედი გვაქვს, სადავო საკითხი მალე გადაწყდება. ბოლოს და ბოლოს ამას მოითხოვს სიღნაღელი მოზარდებისა და მშრომელების, საერთოდ, ქართული სპორტის ინტერესები.

ეს — რაც შეეხება გადახურვას, მაგრამ კომპლექსში სხვა სამუშაოებიც არ არის დამთავრებული. მაგალითად, ჭიანურდება გათბობის სისტემის მოწესრიგება. იყო ვარაუდი, რომ კომპლექსი გათბობას მიიღებდა ახლომდებარე სამკერვალო ფაბრიკის საქვაბიდან, ოღონდ უნდა გაზრდილიყო არსებული საქვაბის სიმძლავრე. ახლა იმაზეც ლაპარაკობენ, რომ აჯობებს სპორტულ ბაზას საკუთარი თბოქსელი ჰქონდეს. იქნებ ასეც ჯობდეს,



სიღნაღის ახალი სპორტული კომპლექსი.

მრავალმა მიზეზმა, რაც, პირველ ყოვლისა, დამპროექტებელ და მშენებელ ორგანიზაციებს შორის ურთიერთშეთანხმებით უნდა მოგვარებულიყო.

დავიწყოთ უმთავრესით, რამაც ესოდენ გააჭიანურა ბაზის საექსპლუატაციოდ გადაცემა და, როგორც იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა სიღნაღელთა ოცნებას. ლაპარაკია ნაგებობის გადახურვაზე. პროექტის მიხედვით, შენობა ე. წ. ბრტყელი სახურავით დაიხურა. დამთავრდა სამუშაოები და პირველივე წვიმის დროს შენობაში წყალმა იწყო დენა. მერე და მერე წყალმა გზა უფრო გაიკვალა და შიგნითაც ლამის ისე წვიმდა და წვიმს, როგორც გარეთ. შეწუხდნენ მშენებლები, მიაკითხეს დამპროექტებლებს, სახურავის შეცვლის ნება გამოთხოვეს, მაგრამ თხოვნამ არ გაჭრა. თავის მხრივ, ცხადია, დამპროექტებლებიც შეშფოთდნენ, შეშფოთდნენ იმის გამო, რომ მშენებლებს გადახურვისას თურმე ფენათა ის რაოდენობა და „რეცეპტი" არ დაუცავთ, რასაც პროექტი ითვალისწინებდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს უფლება კომპეტენტური აზრი გამოვთქვათ ამ საკითხზე, ამას სხვები გაარკვევენ ჩვენზე უკეთ, მაგრამ ერთი ცხადია: ან მართლა ისე უნდა შესრულდეს გადახურვა, როგორც პროექტი ითვალისწინებს, ოღონდ ეს საკითხიც დროულად უნდა მოგვარდეს, პირველ ყოვლისა, ქვაბებია შესაძენი. დღესდღეობით ნაგებობაში არც განათება ჩართული, კაბელი გაუყვანიათ, მაგრამ შესაერთებელია ენერგოწყაროსთან. პრაქტიკულად გადასაწყვეტია დამოუკიდებელი ტრანსფორმატორის დადგმის საკითხიც. დარბაზში ჯერ არც სკამები დაუმონტაჟებიათ ტრიბუნებზე, არც კალათბურთის ფარები დაუდგამთ.

აი, ასეთი მდგომარეობაა სიღნაღში. ბაზა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მთლიანად არ არის მოწესრიგებული, მაინც მუშაობს. ობიექტს, რა თქმა უნდა, შემოსავალიც აქვს დაგეგმილი (ბოლო ხანს სპორტული კომპლექსი, რომელიც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" ეკუთვნოდა, ბალანსზე გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს). ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ გეგმა კანონია, რომ დაგეგმილი შემოსავალი ბაზამ უნდა მიიღოს, მაგრამ არც ის შეიძლება, განათება და ცხელი წყალი არ გქონდეს, დარბაზში თავზე გაწვიმდეს კაცს და იჯარას კი სრულად იხდიდე — იმდენს, რამდენსაც კეთილმოწყობილი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სპორტული ბაზების ექსპლუატაცია ითვალისწინებს.

„ლელოს" ბრიგადა.

სიღნაღი.

# ხობელთა უპირატესობით

**საინტერესოდ** მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ზუგდიდის საბჭოს პირველობა ფეხბურთში. მასში მონაწილეობდნენ ზუგდიდის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებებისა და სახანძრო რაზმების ფეხბურთელთა გუნდები.

პირველი ადგილი დაიკავა ხობის რაიონული განყოფილების კოლექტივმა (უფროსი ვ. გაწერელია, მწვრთნელი თ. ფარცვანია), რომელიც დაჯილდოვდა თასით და პირველი ხარისხის დიპლომით. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზუგდიდის საქალაქო განყოფილებისა (უფროსი გ. ხუხია, მწვრთნელი ვ. კიტია) და წალენჯიხის ფეხბურთელები (უფროსი ს. ჯოჯუა, მწვრთნელი ო. ხარჩილავა).

ჯ. გოგია,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## ჩვენი სპორტის ამაგდარნი



სპორტში რომ საკუთარი სკოლა შექმნა, პირველ ყოვლისა, პიროვნება უნდა იყო — მოქალაქე, პატრიოტი, ოსტატი, საკუთარ საქმეზე შეყვარებული კაცი. თანამოაზრენი და მიმდევრებიც უნდა გყავდეს. საკუთარი სკოლა სრული გაგების, მხარდაჭერის საფუძველზე იქმნება.

გურამ პაპიტაშვილის სკოლაზე დღეს ყველა მოწიწებით ლაპარაკობს. სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ამ სკოლამ სახელოვანი მოჭიდავეები აღუზარდა არა მარტო რესპუბლიკას, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანას. ამაგდარმა მამულიშვილმა დღესვე რომ შეწყვიტოს პედაგოგიური მოღვაწეობა, მაინც ვალმოხდილი კაცი იქნება, მაგრამ ის ძველებური ენერგიით, ხალისით და შთაგონებით აგრძელებს მუშაობას, რადგან მისთვის შრომა სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, ბედნიერების, სიხარულის წყარო.

# ....„ჩვენ ერთი ოჯახი ვართ"

„სკოლა"... ეს პირველ რიგში ადამიანთა კრებულია — აღმზრდელი და მისი შეგირდები, რომლებიც მერე მისი მიმდევრები ხდებიან. „სკოლა" დიდი შრომის შედეგია, რითაც ქალაქმა, რაიონმა, რესპუბლიკამ უნდა იამაყოს. გურამ პაპიტაშვილის სკოლაში აღიზარდა სამი სპორტის დამსახურებული ოსტატი (ანზორ ქიბროწაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური), ცამეტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (მათ შორის ბუღდან ბალაკაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, ნოდარ ყაჩმაზაშვილი, ვახტანგ ბორჩაშვილი, სევერიან ქარელი, როინ მაღალთაძე, გენადი თანდილოვი, ჯემალ ხორბალაძე...), ასზე მეტი სპორტის ოსტატი (მათ გვარებს, ცხადია, ვერ ჩამოვთვლით), ერთი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (გივი ზაუტაშვილი), ათამდე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (მათ შორის შალვა მელაძე, იოსებ ფუხაშვილი, გივი საბაშვილი, ნუგზარ სხიერელი). ერთი კაცისთვის, ერთი სკოლისთვის ბევრი ხომ არ არის?

50 წელს გადაცილებული მწვრთნელი დღეს თავის შრომის ნაყოფს იმკის, ყველაფერი კი, აი, ასე დაიწყო.

დაიბადა გორის რაიონის სოფელ კირბალში, საშუალო სკოლა ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათში დაამთავრა — ოჯახი მაშინ იქ ცხოვრობდა. სწავლა გააგრძელა გორის პედინსტიტუტში ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტზე. 1956 წელს წარმატებით დაასრულა იგი და კათედრაზეც დატოვეს. ერთხანს რიგითი პედაგოგი იყო, მერე — უფროსი მასწავლებელი. უკეთესი ადგილი არც უძებნია, დაწინაურებას შეგნებულად გაურბოდა და... დღემდე ამ ინსტიტუტში მუშაობს, უფროსი მასწავლებელია. ეგ იყო, რომ დამამთავრებელ კურსზე ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში ჭიდაობის მწვრთნელის ადგილი შეთავსა. არცაა გასაკვირი, ახალგაზრდა სპეციალისტს თავისი ცოდნის, პედაგოგიური მონაცემების შემოწმება სურდა.

50-იანი წლების მიწურული ჭიდაობაში საინტერესო პერიოდი იყო. ძიუდო — იაპონელთა ეროვნული სახეობა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს და რაკი შეიტანეს, თავდაცვის ამ ორიგინალური სისტემისადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა. შეიქმნა ძიუდოს შემსწავლელი წრეები, სასწავლო ჯგუფები, სპეციალური სექციები, ჩატარდა პირველი ტურნირები და მოჭიდავეებმაც ძიუდოსაკენ იბრუნეს პირი.

სამბო, როგორც სპორტის სახეობა, ასე ვთქვათ, ტრაგიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა: იგი ტყუპისცალივით ჰგავდა ძიუდოს, საერთაშორისო ასპარეზისკენ კი გზა მოჭრილი ჰქონდა. ამიტომ, ახალგაზრდებმა, გუშინდელმა სამბისტებმა, რომელთაც, ბუნებრივია, სურდათ თავი საერთაშორისო სარბიელზეც გამოეჩინათ, ხალისით მიაშურეს ძიუდოს.

გორში კი ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. 1959 წელს პედინსტიტუტის სამბისტთა გუნდმა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა და უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიეღო საკავშირო შეჯიბრების ფინალში, რომელიც ხარკოვში უნდა ჩატარებულიყო. გორის პედინსტიტუტი და მასთან ერთად გურამ პაპიტაშვილი პირველად გავიდა საკავშირო სარბიელზე. ამას მოჰყვა მეორე გასვლა, მესამე, მეათე...

მაგრამ მეხსიერებას ყველაზე მეტად მაინც ის პირველი შეჯიბრება შემორჩა. ფინალში თვრამეტი ინსტიტუტის გუნდი, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს შორის თვრამეტი ყველაზე ძლიერი და ღირსეული კოლექტივი იბრძოდა, მათ შორის იყვნენ გორის პედინსტიტუტის სტუდენტებიც. სხვა დროს, სხვა პირობებში თავმოსაწონებლად მარტო ესეც ეყოფოდა, მაგრამ პაპიტაშვილის ბიჭებს სხვა რამ ადარდებდათ, ხარკოვის ტურნირის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...

ამასობაში ძიუდოს „ექომ" გორამდეც მიაღწია და აქაურმა მოჭიდავეებმა, დროს რომ არ ჩამორჩენოდნენ, ნელ-ნელა და უხალისოდ პირი მისკენ იბრუნეს. ძიუდომ დამკვიდრება იწყო და საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმაც პირველ რიგში ქართველი სამბისტები გაიხსენეს. სხვებზე ადრე ქართული ჭიდაობისა და სამბოს აღიარებული ფალავნები ანზორ ქიროწაშვილი და ანზორ კიკნაძე მიიწვიეს. მერე ბუღდან ბალაკაშვილსა და ანზორ ზურაბაულს დაადგეს თვალი. მერე ნაკრებში ჩვენი მწვრთნელებიც წაიყვანეს (გურამ პაპიტაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი...). ასეა მუდამ, საქმე და მისი გამკეთებელი ადრე თუ გვიან ერთმანეთს იპოვნიან.

გურამ პაპიტაშვილი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი 1964 წელს გახდა — საქართველოში იგი ამ დროს აღიარეს. საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სამკერდე ნიშანი კი, ბუნებრივია, უფრო გვიან მიიღო. ამ დროისათვის იგი საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო. მონაწილეობა ჰქონდა მიღებული სტუდენტთა ბევრ მსოფლიო თამაშებში და საპრიზო ადგილების მიღმა არც ერთხელ არ დარჩენილა. დიახ, უკვე საქვეყნოდ გაუვარდა სახელი.

ერთხელ ანზორ ქიბროწაშვილს ვკითხე:

**⊙ როგორ გგონია, აქვს თუ არა გურამ პაპიტაშვილის სკოლას რაიმე საიდუმლოება? რით გამოირჩევა იგი, როგორც მწვრთნელი?**

დიდხანს იფიქრა, სანამ პასუხს გამცემდა. მივხვდი, რომ სხვა დროს ამაზე არ უფიქრია, ან კი რატომ უნდა ეფიქრა, როცა თავისი მასწავლებლისთვის ეჭვის თვალით არასდროს შეუხედია, უყვარდა, სწამდა და სჯეროდა მისი. აკი ამიტომაც მითხრა:

— რა საიდუმლოებაზეა ლაპარაკი. უბრალოდ, გურამი კარგი პედაგოგი, დაკვირვებული და გულისხმიერი აღმზრდელი და პატიოსანი, შრომისმოყვარე ადამიანია. რაც მთავარია, უყვარს თავისი აღსაზრდელები.

აღსაზრდელებთან კარგ ურთიერთობას, რა თქმა უნდა, საქმის სიყვარული, მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა განსაზღვრავს... მაინც ვეკითხები:

**⊙ მოჭიდავეებთან და კოლეგებთან როგორი ურთიერთობა აქვს?**

— დიდთან დიდია, პატარასთან — პატარა. მსოფლიოს ან ოლიმპიურ ჩემპიონს სხვებისაგან არ განასხვავებს. ასე ამბობს, ვარჯიშზე მოჭიდავე მოდის და არა ჩემპიონი, ოფლი ყველამ ერთნაირად უნდა ღვაროს. ჩემპიონი იმიტომ გახდა, რომ უფრო მონდომდა. სხვაც მოინდომებს და ისიც ჩემპიონი გახდება.

მარტო ეს რად ღირს, სახელისკენ მიმავალი გზა რომ ასე მარტივად და ნათლად შეგიძლია დაანახო შეგირდს, ნიჭი უნდა ამას. თუმცა, განა მარტო ნიჭი? კაციც უნდა იყო.

**⊙ დანაშაულის პატიება თუ იცის?...**

— დანაშაულს გააჩნია. რასაც თავის თავს არ აპატიებს, იქნებ ის ვერც სხვას აპატიოს.

ანზორ ქიბროწაშვილს გადაბრუნებული სიტყვა არ უყვარს.

— რაღა დროს ჩემი თვალთმაქცობაა. იმას ვამბობ, რაც მინახავს, რასაც შევსწრებივარ. უხამსი სიტყვა მისგან არ გამიგონია, არც ვინმე გაუკეხწლავს. სათქმელს უსათუოდ პირში გეტყვის, მაგრამ ისე გეტყვის, დაგაფიქრებს და დაგარწმუნებს.

გვჯერა. სხვანაირად, ასეთ დიდ საქმეს შეჭიდებული, მიზანს ვერც მიაღწევდა. ერთი-ორი კითხვა გურამსაც დავუსვით.

**⊙ რამ განაპირობა გორის საჭიდაო სკოლის ასეთი წარმატება?**

— ქართული ჭიდაობის სიყვარულმა. ანზორ ქიბროწაშვილი ევროპის ჩემპიონი ისე გახდა, ძიუდოს არც ერთი ილეთი არ იცოდა. ქართული ჭიდაობის კარგი ცოდნა მსოფლიო მწვერვალებზე აგიყვანთ, ოღონდ ნამდვილი ქართული ჭიდაობის ცოდნა. ჩემი თუ არ გჯერათ, შოთა ჩოჩიშვილსა და თემურ ხუბულურს ჰკითხეთ. ქართულს რომ კარგად ჭიდაობდნენ, იმიტომ გახდა შოთა ოლიმპიური ჩემპიონი, თემური კიდევ — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

აქ ანზორმა დაუმატა:

— მსოფლიო ჩემპიონი რომ ვერ გავხდი, ცხადია, გული მწყდება, მაგრამ უფრო ის მადარდებს, ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი ერთხელაც რომ ვერ მოვიპოვე.

**⊙ გურამ, როგორი იქნებოდა გორის სკოლა, იქაური რომ არ იყოთ?**

— ბევრი არაფერი დააკლდებოდა, გულწრფელად გეუბნებით.

**⊙ მაშინ კითხვას შევაბრუნებ. რამ შექმნა გორის სკოლის ფენომენი?**

— ორმა ფაქტმა. გორში პედაგოგიური ინსტიტუტი უსათუოდ უნდა ყოფილიყო და ამ ინსტიტუტს რექტორად უსათუოდ გიორგი ხარაული უნდა ჰყოლოდა. როცა გორელ მოჭიდავეებზე, და განა მარტო მოჭიდავეებზეა ლაპარაკი, პირველ ყოვლისა ეს დიდებული ადამიანი, ჭეშმარიტი მოამაგე და მამულიშვილი უნდა გავიხსენო. მისი ხელი სპორტსმენთა ბარე სამ თაობას გასწვდა. გიორგი ხარაულმა დაამკვიდრა ინსტიტუტში სპორტის სიყვარულის დიდი ტრადიცია, რომელსაც დღევანდელი რექტორი რევაზ კანდელაკი აგრძელებს.

**⊙ რა გზით უნდა განვითარდეს ჩვენში ჭიდაობა?**

— ორიენტირად ქართული ჭიდაობა უნდა გავიხადოთ. ქართული ჭიდაობა ისეთი სახალხო სპორტი უნდა გახდეს, როგორც წინათ იყო.

**⊙ ძველ მოწაფეებთან თუ ინარჩუნებთ კონტაქტს?**

— ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, ერთ საყვარელ საქმეს შეჭიდებული თანამოაზრეები და ჭაპანსაც ბოლომდე ერთად გავწევთ.

ნოდარ ბუგუშვილი.



## უმაღლესი ლიგის საგზურებისათვის

**გუშინ** მოსკოვში, „ოლიმპიურის" დახურულ დარბაზში შედგა უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის მებრძოლი ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „დაუგავა" (რიგა) — „ჩერნომორეცი" (ოდესა).

მატჩი დამთავრდა ოდესელთა გამარჯვებით — 1:0.

## უეფა-ს თასზე

**გუშინ** ევროპის ქალაქებში გაიმართა უეფა-ს თასის 1985-86 წლების გათამაშების საპასუხო მერვედფინალური მატჩები.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელებმა იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში ითამაშეს ადგილობრივ „ჰაიდუკთან". თამაშის შედეგია 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

საფრანგეთის „ნანტისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა გვიან ღამით დამთავრდა.

## „ონზის" აზრით

**პარიზის** საფეხბურთო ჟურნალმა „ონზმა" დაასახელა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები 1985 წლის სეზონის მიხედვით. თითოეულ ადგილზე ხუთ-ხუთი, ზოგჯერ კი ათი მოთამაშეა.

ჟურნალი მოთამაშეებს ანბანის მიხედვით ჩამოთვლის და პრეტენზიას არ აცხადებს, რომელიმე მათგანს უპირატესობა მიანიჭოს. „ონზის" საფეხბურთო ტერმინოლოგია ჩვენთან მიღებულისაგან განსხვავდება.

**მეკარეები** — ბატსი (საფრანგეთი), დასაევი (საბჭოთა კავშირი), გრობელაარი (ინგლისი), შუმახერი (გფრ), საუთჰოლი (უელსი).

**მარჯვენა მცველები** — ბერგომი (იტალია), გერეტსი (ბელგია), ნილი (ინგლისი), რედნიჩი (რუმინეთი), სტივენსი (ინგლისი).

**ლიბეროები** — აუგენტალერი (გფრ), ბატისტონი, ბოსისი (ორივე — საფრანგეთი), პასარელა (არგენტინა), შირეა (იტალია).

**სტოპერები** — დიმიტროვი (ბულგარეთი), კ-ჰ. ფიორსტერი (გფრ), ლორენსონი (ირლანდია), ლიმა პერეირა (პორტუგალია), ვერხოვოდი (იტალია).

**მარცხენა მცველები** — ამორო (საფრანგეთი), კაბრინი (იტალია), კამაჩო (ესპანეთი), დემიანენკო (საბჭოთა კავშირი), ციოცშე (გდრ).

**დაცვის დამხმარე ნახევარმცველები** — ბრიგელი (გფრ), ფერნანდესი (საფრანგეთი), ჟუნიორი (ბრაზილია), მათეუსი (გფრ), რიდი (ინგლისი).

**„დირიჟორები"** — ლერბი (დანია), რობსონი (ინგლისი), შუსტერი (გფრ), ტიგანა (საფრანგეთი), უილანი (ირლანდია).

**მოიერიშე ნახევარმცველები** — ბრეიდი (ირლანდია), ფუტრე (პორტუგალია), ჟირესი (საფრანგეთი), მანუელ ფერნანდესი (პორტუგალია), მარადონა (არგენტინა), პლატინი (საფრანგეთი), შიფო (ბელგია), სუნესი (შოტლანდია), სტივენი (ინგლისი), უილკინსი (ინგლისი).

**თავდამსხმელები**: კ. ალოფსი (გფრ), არჩიბალდი (შოტლანდია), ბონეკი (პოლონეთი), ბუტრაგენიო (ესპანეთი), ელკიაერ-ლარსენი (დანია), ჰეიტლი (ინგლისი), მლადენოვი (ბულგარეთი), რუმენიგე (გფრ), რაში (უელსი), ფიოლერი (გფრ).

# მოგვითხრობს ლევ იაშინი...

### ახალი წიგნი

**წიგნის** ყდიდან მომღიმარი იაშინი შემოგვცქერის. სახელგანთქმულ მეკარეს საბჭოთა ფეხბურთის საპატიო ჯილდო — ბროლის თასი ალუმართავს. „ძნელ გამარჯვებათა ბედნიერება" — ასე ეწოდება სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონის, ევროპის თასის მფლობელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევ იაშინის ამ ორასგვერდიან ნაშრომს, რომელიც ახლახან გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა ტრადიციული სერიით „სპორტისადმი მიძღვნილი გულები" (ტირაჟი 100.000 ცალი).

პელე, სტენლი მეტიუზი, ბობი ჩარლტონი, ლაიოშ ბაროტი, რიკარდო ზამორა, სტენლი როუზი და ფეხბურთის სხვა გამოჩენილი ვარსკვლავები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წერენ შესანიშნავ საბჭოთა გოლკიპერზე, ხოტბას ასხამენ მის ვირტუოზულ თამაშს, ხაზს უსვამენ მის საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. წიგნი, რომლის ლიტერატურული ჩანაწერი ეკუთვნის ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს, აწ განსვენებულ ლეონიდ გორიანოვს, საინტერესოდ მოგვითხრობს ლევ იაშინის ცხოვრების გზაზე — ტუშინოს ერთ-ერთი ქარხნის ახალგაზრდა ტანწვრილი მეკარის პირველი მატჩიდან ლუჟნიკის 1971 წლის 27 მაისის გამოსათხოვარ მატჩამდე. დიახ, ამ დღეს ინგლისელმა ბობი ჩარლტონმა და იტალიელმა ჯაცინტო ფაკეტიმ, ურუგვაელმა ლადისლაო მაზურკევიჩმა და იუგოსლაველმა დრაგან ჯაიჩმა, გერმანელმა ჰერდ მიულერმა, პოლონელმა ვლოძიმეჟ ლიუბანსკიმ, უნგრელმა კალმან მესეიმ — ერთი სიტყვით, „მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებმა" და იაშინის მშობლიურმა კლუბმა მოსკოვის „დინამომ" დაუვიწყარი სანახაობა წარმოადგინეს გიგანტურ, 100-ათასიან სტადიონზე. იაშინის ეს უკანასკნელი, რიგით 818-ე მატჩი, რომელსაც სჯიდნენ ცნობილი არბიტრები ტოფიკ ბახრამოვი, პაველ კაზაკოვი და კარლო ყრუაშვილი, როგორც ცნობილია, დამთავრდა ფრედ — 2:2. მურთაზ ხურცილავამ, მანუჩარ მაჩაიძემ, ვლადიმერ პილგუიმ და სხვებმა ხელში აიტაცეს ტყავის ბურთის დიდოსტატი...

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ წიგნიდან, სადაც ლევ იაშინი მოგვითხრობს ქართველ ფეხბურთელებზე — მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველზე.




„მრავალი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო თბილისის „დინამოში", მაგრამ მათგან საუკეთესო შთაბეჭდილება მიხეილ მესხმა დატოვა. იგი მარცხენა ფლანგზე თამაშობდა როგორც მშობლიურ კლუბში, ისე ნაკრებში. მახსოვს, გაზეთმა „ეკიპმა", ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" იგი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა, ჩემის აზრით, სავსებით დამსახურებულად. ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე მისი ამპლუის ბევრი მოთამაშე მინახავს, მათ შორის ბრაზილიის, ინგლისის, გფრ-ის, არგენტინის, იტალიის, შვეციისა და სხვა ნაკრებ გუნდებში. მესხი არც ერთ მათგანს არ ჩამორჩებოდა — არც არტისტიზმით, არც ტექნიკური ხერხების მრავალფეროვნებით და არც მათი შესრულების სილამაზითა და სიზუსტით. აი, მესხს ბურთი მიუვიდა ფეხებში. მის წინ მცველია. თითქოს წინ გზა არ არის, მაგრამ ერთბაშად იფეთქა „ჩახვეულ" ცრუ მოძრაობათა მთელმა ჯაჭვმა და ელვისებურად მოწყდა ადგილს. თუ მეტოქე დაეწევა მიხეილს, იგი უცებ შეჩერდება, თითქოს ნებდება, მაგრამ უმალვე იცვლის მიმართულებას, ანდა კვლავ განაგრძობს ფინტს, ჩერდება და კვლავ შეურდულივით სწყდება ადგილს. ფანდების ასეთ კალეიდოსკოპს მუდამ ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებლები, მესხის მეტოქეებს კი ხასიათს უფუჭებდა, რადგან ყველა როდი უძლებდა ამ დაუოკებელ თავდამსხმელთან გამართული ორთაბრძოლების დაძაბულობას. აი, რატომ იყო, რომ სწორედ მისი ფლანგიდან იქმნებოდა ჩემი კარისათვის (როდესაც ჩვენი კლუბები ხვდებოდნენ ერთმანეთს) განსაკუთრებული საფრთხე და „მუქარა". მშვენივრად ფლობდა იგი ბურთის გადაცემის ხერხს, ნებისმიერი მანძილიდან, ზუსტ დამაგვირგვინებელ დარტყმას, რომელიც მუდამ მიმართული იყო კარის დაუცველი წერტილისკენ. მათ შორის, ვის წინააღმდეგაც მითამაშია, იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ფორვარდი, ყველაზე „ძნელი" მეტოქე, თანაც ერთ-ერთი ყველაზე საყვარელიც. ისეთები, როგორიც მესხია, ფეხბურთს ჭეშმარიტად სილამაზეს სძენენ, პოეზია და რომანტიკა შეაქვთ თამაშში, ათობით ათას გულშემატკივარს იზიდავენ სტადიონებზე. მესხმა — საფეხბურთო თეატრის ამ მოკამკამე, თვითმყოფმა მსახიობმა — ბევრი გააკეთა თავისი კლუბისა (რომელშიც თხუთმეტი წელიწადი გამოდიოდა) და ჩვენი ნაკრებისათვის".

„დიდი სიამოვნებით ვიხსენებ სლავა მეტრეველის — ამ შესანიშნავი ოსტატის თამაშს, თუმცა მას წლების მანძილზე ჩემთვის ბევრი უსიამოვნება მოუტანია და გულიც ბევრჯერ დაუწყვეტია. ზოგჯერ ამბობდნენ, რომ მეტრეველი ცოდავდა ინდივიდუალური თამაშით. მაგრამ განა ეს ცოდვად შეიძლება ჩაითვალოს? პირიქით, ეს ხომ საფეხბურთო ხელოვნების უმაღლესი ფორმაა. მეტრეველი იმ იშვიათ დიდოსტატთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც სრულყოფილად ფლობს მინდორს. სლავას საჭიროების შემთხვევაში საუცხოოდ შეეძლო თამამად, გადაჭრით და ეფექტურად წარემართა ბრძოლა ერთი ერთზე მეტოქის მცველის წინააღმდეგ. როდესაც მეტოქენი მასირებულ თავდაცვას მიმართავდნენ, როდესაც ძალაში შედიოდა პერსონალური მეურვეობა, საქმეს თავისი გუნდის სასარგებლოდ ხშირად სწორედ სლავა წყვეტდა. მეტწილად ეს ხდებოდა მისი არტისტული დრიბლინგის და „კოსმიური" სისწრაფის ხარჯზე (მე მას საბჭოთა ფეხბურთში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ თავდამსხმელად ვთვლი), რითაც იგი არღვევდა მჭიდრო დაცვის ხაზს, იპყრობდა ტერიტორიას, თავისკენ იზიდავდა ახალ ძალებს, მერე კი მოულოდნელად, გააზრებულად და ზუსტად აწვდიდა ბურთს პარტნიორებს, რომელთაც ისღა დარჩენოდათ, რომ ბურთი ბადეში შეეგორებინათ, ან ღია პოზიციიდან „დაეხვრიტათ" კარი. ეს ქართველი ფეხბურთელი დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. გარდა ძირითადი ვარჯიშისა, იგი ყოველდღე რამდენიმე საათს „მუშაობდა" ბურთით, ყურადღებით აკვირდებოდა საუკეთესო ფეხბურთელების თამაშს, ცდილობდა გაეგო, თუ რით ჯობდნენ ისინი, რა ნაკლი გააჩნდა თვითონ. უმეტესობა ცდილობს კიდევ უფრო დახვეწოს ის ილეთი, რომელშიც უკეთ გრძნობს თავს — ეს სასიამოვნოც არის და საინტერესოც. მაგრამ, მერწმუნეთ, „ცალფეხა" ფეხბურთელისათვის ნამდვილი ტანჯვაა აუკრძალო საკუთარ თავს ბურთის შეხება საყვარელი მარჯვენა ფეხით და გაუთავებლად, ათობით, ათასობით დარტყმა შეასრულოს მარცხენა ფეხით, ურტყას, მიუხედავად იმისა, რომ ბურთს არ სურს დაემორჩილოს მას. მოძრაობაც მოუქნელი, არაბუნებრივი გამოდის, ფეხი საგრძნობლად იღლება, ნერვებიც სადაცაა „დაწყდება" და საკუთარი თავი უმწეო და მოუქნელი გეჩვენება. ასე ვარჯიშობდა მეტრეველი, რომელიც ძალიან ბევრს ფიქრობდა ფეხბურთზე, წვდებოდა თამაშის ტაქტიკურ ხერხებს, სწავლობდა იმათგან, ვინც საუკეთესო ტაქტიკოსად მიაჩნდა. ვწერ ამ მშვენიერ ფეხბურთელზე და ვფიქრობ: შესაძლოა მისი ბედი სხვაგვარად წარმართულიყო, იგი გავრილ დიმიტრის ძე კაჩალინს რომ არ აღმოეჩინა. მანვე მიიწვია ნაკრებში ვიქტორ პონედელნიკი, რომელიც „ბ" კლასის გუნდში „როსტსელმაშში" გამოდიოდა, მან შეამჩნია პირველმა მიხეილ მესხი, მიუხედავად სპეციალისტთა წინააღმდეგობისა, გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა „მოუქნელი" ვალენტინ ბუბუკინი. და აი, მოხდა სასწაული: კაჩალინის ყველა კანდიდატმა სავსებით გაამართლა მისი ნდობა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა".

## ფეხბურთი ჯუჯა სახელმწიფოში

**სან-მარინოს,** აპენინის ნახევარკუნძულზე მდებარე ამ ჯუჯა სახელმწიფოს (27 ათასი მცხოვრები) სპორტის მესვეურებმა განაცხადეს, რომ პირველად აწყობენ თავიანთი ქვეყნის პირველობას ფეხბურთში. ასპარეზობა, რომელშიც 17 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, აპრილში დამთავრდება.

საინტერესოა, რომ ჯუჯა სახელმწიფოს ყოველი 27-ე მცხოვრები ფეხბურთელია. მათ თავიანთი კეროპიც ჰყავთ — მასიმო ბონინი, რომელიც ტურინის „იუვენტუსში" თამაშობს.

## მწვრთნელი არა ჰყავთ

**ბრაზილიის საფეხბურთო წრეებში, პრესაში შეშფოთებას გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, ჯერ კიდევ არა ჰყავს უფროსი მწვრთნელი.**

გაზეთმა „ფოლია დი სან-პაულომ" ამას წინათ გულშემატკივართა გამოკითხვა მოაწყო შეკითხვით: „ვის ისურვებდით ბრაზილიის ნაკრების უფროს მწვრთნელად?" მკითხველთა 50 პროცენტმა მწვრთნელის პოსტზე ტელე სანტანა დაასახელა.

ამ ბრაზილიელი მწვრთნელის სახელი საყოველთაოდ ცნობილია, მისი ხელმძღვანელობით ბრაზილიელებმა 1982 წელს ითამაშეს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში, შემდეგ ტელე სანტანა კონტრაქტით გაემგზავრა საუდის არაბეთში, მერე კი დროებით სათავეში ჩაუდგა ბრაზილიის ნაკრებს, როცა იგი შესარჩევი ტურნირის მატჩებს ატარებდა.

მას შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა შესარჩევი ტურნირი მოიგეს, ტელე სანტანა კვლავ საუდის არაბეთში გაემართა. ახლა იტყობინებიან, რომ იგი დაუბრუნდა ბრაზილიას და განაცხადა, რომ მზადაა კვლავ უხელმძღვანელოს თავისი ქვეყნის ნაკრებს. მაგრამ ჯერჯერობით ხმას არ იღებს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია, ამ ქვეყნის ნაკრებს კი ჯერ მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისის გეგმაც არა აქვს შედგენილი.

## ახალი მწვრთნელი

**პაულ** ვოლფისბერგის ნაცვლად შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა დანიელ ჟანდიუპო, რომელიც ადრე ამ გუნდის მოთამაშე იყო.

## ვერაფერი მოუხერხეს

**მიუხედავად** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული ზომებისა, ამ ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში კვლავ მოხდა ინციდენტი: „ლესტერ სიტისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრის დროს ატეხილ ჩხუბში დაშავდა 18 მაყურებელი, რომელთაგან ოთხი საავადმყოფოში მოათავსეს.

## სპარტაკიადისათვის მზადებისას

**საქართველოს ჩემპიონატი მოტობურთში კარგა ხანია რეგულარულად იმართება. ცალკეულ ენთუზიასტთა მონდომებული მუშაობის წყალობით გვყავს რამდენიმე მუდმივმოქმედი გუნდი. თუმცა რესპუბლიკური პირველობის ფინალში ძირითადად თბილისის კოლექტივები — „ივერია" და „პოლიტექნიკოსი" ხვდებიან ერთმანეთს.**

ასე იყო წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატზეც, რომლის ფინალურ პირველობას დოსააფის ცენტრალურმა ბაზამ უმასპინძლა. დასკვნით ეტაპზე სულ სამი გუნდი ასპარეზობდა. ისინი გადამწყვეტ შეხვედრამდე ქულათა ასეთი მარაგით მოვიდნენ: „ივერია" — 8 ქულა, „პოლიტექნიკოსი" — 6, თელავის „კახეთი" — 4. „ივერიამ" ანგარიშით 2:0 დაამარცხა „კახეთი", „პოლიტექნიკოსმა" კი უფრო დიდი ანგარიშით (4:0) მოუგო თელავის გუნდს. ერთი სიტყვით, ჩემპიონის ვინაობა „ივერიისა" და „პოლიტექნიკოსის" მატჩს უნდა დაესახელებინა. „ივერიას" ფრეც აძლევდა ხელს, სტუდენტებს კი შეხვედრა დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ. „პოლიტექნიკოსმა" (მოთამაშე მწვრთნელი ვანო ტურაშვილი, გუნდის უფროსი დემურ რევაზიშვილი, მექანიკოსი ბორის ვაგაჯანიანი) ალმაცერობით ითამაშა, სამი უპასუხო ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის სახელი. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში ტურაშვილთან ერთად გამოდიოდნენ ნ. ბერიძე, ნ. მესტვირიშვილი, გ. მესტვირიშვილი, გ. ბუხიაშვილი, ვ. ერისთავი, ე. წულაძე და ვ. კუჩულორია.

„პოლიტექნიკოსის" ბაზაზე დაკომპლექტდება რესპუბლიკის მოტობურთელთა ნაკრები, რომელიც გაისად საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე გამოვა.

**ხაჩატურ ვართანიანი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

### მკითხველი — გაზეთი

**შეკითხვა:** გთხოვთ მიპასუხოთ. შეიძლება თუ არა კერძო პირისგან სპორტული კლუბისთვის ნაღდ ანგარიშზე შევიძინოთ სპორტული ინვენტარის დეტალები, რომელიც აუცილებელია, მაგრამ გაყიდვაში არ არის?

მიხეილ კევლიშვილი,
თბილისი.

**პასუხი:** კერძო პირისგან ფულის ხელზე გადახდით ცალკეული დეტალის, თუნდაც სპორტული ინვენტარის შეძენა ორგანიზაციის ხარჯზე სასტიკად იკრძალება. ანგარიშსწორება უნდა მოხდეს გადარიცხვით შესაბამის მაღაზიებში მხოლოდ იმ საქონელზე, რომელიც ორგანიზაციებზე შეიძლება გაიყიდოს უნაღდო ანგარიშსწორებით.

## „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

# თხუთმეტმეზის!

დასასრული

(ორივე — საქართველო) — 24. გამარჯვებულ გუნდს, მის წევრებსა და მწვრთნელებს, აგრეთვე მეორე და მესამე ადგილზე გასულ კოლექტივებს გადაეცათ საგანგებო პრიზები. ჯილდოები გადასცეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის მოადგილემ ზურაბ ბერიძემ და საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ცხაკაიამ.

დაბოლოს, გთავაზობთ ორ ინტერვიუს.

**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ანატოლი ევტუშენკო:**

— თბილისის ტურნირებს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მზადების ერთ-ერთ მთავარ ეტაპს, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტურნირი თანდათან სულ უფრო უკეთესად ტარდება, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა თქვენი სპორტის სასახლის თანამშრომლებსაც. ჩვენს გუნდს საშუალება მიეცა მკაცრ ბრძოლებში კიდევ ერთხელ გამოეცადა თოთხმეტივე მოთამაშე, მათ შორის ორი ახალბედა მეკარე. საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში შევამოწმეთ თამაშის ახალი ვარიანტები. სხვათა შორის, ასპარეზობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს გუნდს ყველაფერი როდი აქვს მოგვარებული დაცვაში. მეტოქეებიდან ყველაზე ძლიერად ტურნირამდეც პოლონეთის ნაკრები მიმაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობ. იგი ხომ დიდ ოფიციალურ შეჯიბრებებში, როგორც წესი, საპრიზო ადგილზე გადის. სხვათა შორის, პოლონელებიც ერთობ მოისუსტებენ დაცვაში. ჩვენი გუნდიდან მინდა გამოვყო ნოვიცკი, რომელიც ტურნირზე დიდ, „შავსამუშაოს“ ასრულებდა, აგრეთვე შევცოვი და კარშაკევიჩი. გულახდილად გეტყვით, ძალიან გვაკლდა ანპილოგოვი...

**ასე გამოიყურება გათამაშების საბოლოო ცხრილი**

| | | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სსრ კავშირი | 4 | 0 | 0 | 103:84 | 8 |
| 2. | პოლონეთი | 3 | 0 | 1 | 106:98 | 6 |
| 3. | უნგრეთი | 2 | 0 | 2 | 101:98 | 4 |
| 4. | საქართველო | 0 | 1 | 3 | 101:118 | 1 |
| 5. | ჩეხოსლოვაკია | 0 | 1 | 3 | 82:95 | 1 |

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი შარაშიძე:**

— ჩვენმა გუნდმა ურიგოდ როდი ჩაატარა თამაშები. ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ. თბილისის ტურნირი ერთგვარი სკოლაა ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი მატჩების წინ. ვფიქრობ, რომ გუნდს საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს. ეგაა, რომ სასურველია უფრო მაღალ ტემპში ატარებდეს მატჩებს, მეტი ტაქტიკური ცბიერება და იმპროვიზაციაა საჭირო შეტევისას. დაცვაში საკმაოდ ტანმაღალი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ ისინი, ზოგჯერ ყურადღებას adუნებენ, ნაკლებად მოძრაობენ, ავიწყდებათ ერთმანეთის დაზღვევა. სასიამოვნოა, რომ შესამჩნევად გააუმჯობესა თამაში დემეტრაშვილმა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ბულიამაც. როგორც ყოველთვის, ძლიერნი იყვნენ გამოცდილი ანპილოგოვი და მიხუტა (მჯერა, რომ იგი უფრო მოუმატებს თამაშს). ერთსაც ვიტყვი — ჩვენმა ლიდერებმა მეტი უნდა ითამაშონ პარტნიორებთან.

**ოთარ ნოზაძე.**



ტურნირში გამარჯვებული სსრ კავშირის ნაკრები გუნდი.

## ინფორმაცია

**ვილნიუსში** დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის დამატებითი ორწრიანი მატჩ-ტურნირი ჭადრაკში. ერთმანეთს ხვდებიან დიდოსტატები: 25 წლის ალექსანდრე ჩერნინი (ხარკოვი), 28 წლის ვიქტორ გავრიკოვი (ვილნიუსი) და საერთაშორისო ოსტატი, 26 წლის მიხეილ გურევიჩი (ხარკოვი). ამ მოჭადრაკეებმა საბჭოთა კავშირის 52-ე ჩემპიონატში, რომელიც იანვარში რიგაში ჩატარდა, 19-დან 11-11 ქულით I-III ადგილები გაიყვეს. თუ მეტოქეები ამჯერადაც თანაბარ ქულებს მოაგროვებენ, ძალაში შევა ძირითადი ჩემპიონატის კოეფიციენტთა ცხრილის მაჩვენებლები და ჩემპიონის ტიტულს გურევიჩი მიიღებს.

საინტერესოა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ტიტულისათვის ბრძოლა დამატებით აქამდე მხოლოდ ორჯერ მოუხდა სამ მოჭადრაკეს — 1956 წელს (გაიმარჯვა მ. ტაიმანოვმა) და 1964 წელს (გაიმარჯვა ლ. შტეინმა). მესამე მატჩ-ტურნირი ყველაზე ახალგაზრდულია და გამარჯვებული პირველად გახდება ქვეყნის ჩემპიონი.

**ბრიუსელი.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში „ლენიკის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი მოსკოვის ოლქის „დინამოსთან“ დამარცხდა — 0:3 (16:18, 12:15, 8:15).

**ჰელსინკი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა კოლექტივმა აქ მოულოდნელი მარცხი განიცადა. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მას ადგილობრივმა „ვესამ“ აჯობა — 3:1.

**მოსკოვი.** ცსკა-ს კალათბურთელმა ვაჟებმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ ტურნირში მეორე გამარჯვება მოიპოვეს — ამჯერად შინ შვეიცარიის „ვევეი“ დაამარცხეს — 118:84 (64:42). ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ამ დღეს სერგეი ტარაკანოვი იყო — 21 ქულა.

**შტუტგარტი.** ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე მრავალჭიდში ყველას სილვიო კროლმა (გდრ) აჯობა — 58,525 ქულა. იგი ხტომებშიც პირველი იყო — 19,70, მეორე ადგილი მრავალჭიდში მსოფლიო თასის მფლობელმა ჩინელმა ლი ნინმა დაიკავა — იგი გამარჯვებულს მხოლოდ 5 მეასედი ქულით ჩამორჩა. წარმატება ქალთა შორისაც გდრ-ის ტანმოვარჯიშეს დაგმარ კერსტენს ხვდა — 39, 175.




**ცენტრალური ტელევიზია.** 12 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.15 (2)**; ფეხბურთი. გადასასვლელი ტურნირი: „ნეფთჩი“ (ბაქო) — ცსკა — **21.00.**

**საკავშირო რადიო.** 12 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში — **6.15** და **7.15**; საწარმოო ტანვარჯიში — **12.00.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

# სიახლენი „სპორტლოტოში“

**„სპორტლოტოსა“ და „სპრინტის“ მოყვარულთა წინადადებებისა და შენიშვნების საფუძველზე თამაშის წესებში მოხდა ერთგვარი ცვლილებები, რაც ძალაში 1986 წლის 1 იანვრიდან შევა.**

„სპორტლოტო 6 49“-დან შეიცვლება „სპორტლოტო 6 45-ით“, თუმცა 49 უჯრიანი ბარათი ერთხანს კიდევ დარჩება ხმარებაში (გადაიშლება მხოლოდ პირველი ორმოცდახუთი უჯრა) დაანგარიშებულია, რომ ლატარია „6 45“-იდან მოგებათა შესაძლებლობას 30 პროცენტით გაზრდის.

გარდა ამისა, გაიყიდება 10 ტირაჟიანი ბარათები (ღირებულება 6 მანეთი). ერთხელ შევსებული ასეთი ბარათი თითქმის ორთვენახევრის მანძილზე იტრიალებს გათამაშებაში.

მოგებული თანხის განაღდება დაიწყება ტირაჟიდან 15 დღის შემდეგ და თვის განმავლობაში იწარმოებს.

ლატარიების არსებობის 15 წლის მანძილზე სპორტული ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის ფიზკულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა და შეჯიბრებების ჩასატარებლად მილიარდზე მეტი მანეთი გადაირიცხა. თუ 1980 წლამდე თანხა უმთავრესად დიდი ნაგებობების (მათ შორის ოლიმპიური ბაზების) მშენებლობას ხმარდებოდა, ამიერიდან მას ძირითადად სპორტდარბაზების, სტადიონებისა და სხვა ობიექტების ასაშენებლად გადარიცხავენ.

ახლა ახალი ლატარიის — „სპორტპროგნოზის“ შესაძლებელ შემოღებაზეც ფიქრობენ. ამ თამაშში ჩართულებმა უნდა გამოიცნონ ფეხბურთელთა და ჰოკეისტთა მატჩების, სხვა საინტერესო შეჯიბრებების შედეგები.

# პირველ ტურში

**პლენტეიშნი (აშშ).** სსრ კავშირის იუნიორ ჩოგბურთელთა გუნდმა საერთაშორისო ტურნირის პირველ ტურში იამაიკის სპორტსმენები დაამარცხა — 3:0. იოსებ კროჩკომ იასონ შარპას მოუგო — 6:0, 6:0, ანდრეი ჩერკასოვმა კი ჰოუპტონ გრინს — 6:3, 6:2. საბჭოთა ჩოგბურთელებმა გაიმარჯვეს წყვილთა თანრიგშიც — 6:3, 6:0.

## წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი I ლიგის საგზურის მოსაპოვებლად

# ზედმეტი თვითდაჯერების საზღაური

**თბილისში,** ვაკის საცურაო აუზში დამთავრდა წყალბურთელთა ტურნირი. სამშაბათს როსტოველმა არმიელებმა უჟგოროდის „ავანგარდს“ სძლიეს — 15:9. ერევნის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდმა ვორონეჟის „ფაკელს“ მოუგო, მასპინძლებმა, თბილისის ასკ-ს წყალბურთელებმა კი შეხვედრა მოსკოვის „ზილთან“ ფრედ — 8:8 დაამთავრეს.

ერევნელმა წყალბურთელებმა ვადამდე — შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს I ლიგის საგზური. ამ დღეს გადაწყდა „ფაკელის“ ბედიც, რომელმაც აუტსაიდერობა ვერ აიცდინა. დანარჩენი გუნდები კი 4-4 ქულით I ლიგის კიდევ ერთი დარჩენილი საგზურის მოპოვების შანსს ინარჩუნებდნენ.

გუშინ ერევნელებს უჟგოროდელებმა სძლიეს — 16:11, მოსკოველებმა კი ვორონეჟის წყალბურთელები დაამარცხეს — 8:0. მასპინძლებს იმისათვის, რომ I ლიგის საგზური მოეპოვებინათ, როსტოველ თანაკლუბელებთან შეხვედრა 6 ბურთის სხვაობით უნდა მოეგოთ. აი, აქ ცნობილი გახდა, რომ უჟგოროდელთა გუნდის წევრს ბახოვსკს, რომელიც წლეულს კიევის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში იყო, ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ „ავანგარდს“ ყველა მატჩში წაგება ჩაეთვალა, მის მეტოქეებს კი — მოგება. საქმის ასე შემობრუნებამ თბილისელთა წისქვილზე დაასხა წყალი, რადგან „ავანგარდთან“ შეხვედრაში მხოლოდ ისინი დამარცხდნენ. ამის შემდეგ როსტოვის გუნდთან შეხვედრაში მასპინძლებისთვის უკვე სულერთი იყო როგორი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ.

ჩვენმა წყალბურთელებმა კარგად დაიწყეს თამაში და პირველი პერიოდი მოიგეს კიდეც — 3:0. ისინი სამბურთიანი უპირატესობით კიდევ ექვსჯერ გაიჭრნენ წინ. როსტოველებმა კი მეოთხე პერიოდის დასასრულამდე ამდენჯერვე მხოლოდ ერთი ბურთით შეძლეს სხვაობის შემცირება.

თამაშის დამთავრებამდე სამიოდე წუთი რჩებოდა და თბილისელები კვლავ სამი ბურთით (10:7) იგებდნენ შეხვედრას. როგორც სჩანს, მათ ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება, მოეშვნენ და საკუთარ კარში ზედიზედ... ოთხი გოლი გაუშვეს და დამარცხდნენ — 10:11. სხვათა შორის, მატჩის მიწურულს, როცა ანგარიში 10:10 იყო, თბილისელებს რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდათ და სტუმართა კარში პენალტიც დანიშნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ვერც ერთი ვერ გამოიყენეს.

ამრიგად, I ლიგის საგზური 9 ქულით მოიპოვეს ერევნელმა წყალბურთელებმა. მეორე საგზური წილად ხვდათ მოსკოველებს — 7. როსტოველმა და თბილისელმა თანაკლუბელებმა 6-6 ქულა მოაგროვეს.



**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

# რეზერვიც იმარჯვებს

**სარატოვში** ჩატარდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პროფტექსასწავლებლების სპეციალური სპორტული ჯგუფების საკავშირო პირველობა კრივში. ჩვენი რესპუბლიკა შეჯიბრებაზე ძირითადად № 80 პროფტექსასწავლებლის (დირექტორი დავით მახარაძე) მოსწავლეებით დაკომპლექტებული გუნდით წარსდგა. ცნობისათვის: ამ სასწავლებელში შექმნილია ოლიმპიური რეზერვის მომზადების ცენტრი.

შეჯიბრებაში, რომელშიც 22 ქალაქის პროფტექსასწავლებლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ, ყველას აჯობა ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა, რომელმაც ბევრად გაუსწრო II და III პრიზიორებს — მოსკოვისა და სარატოვის კოლექტივებს.

გარდა იმისა, რომ გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, ჩვენმა მოზარდმა მედლით დაიმშვენა მკერდი. I ადგილები მოიპოვეს ხვიჩა სეთურიძემ (46 კგ), კობა კოროხაშვილმა (50), ოლეგ მარტიროსოვმა (54), დიმიტრი ავდალიანმა (74). II ადგილებზე გავიდნენ რამაზ რაზმაძე (48) და ვახტანგ ოდიშვილი (52), III ადგილზე — ვაგიფ აბასოვი (57).

ამ შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს გურამ ხერხეულიძემ, კოტე შემაზერიძემ, გარი ხაჩატუროვმა, ოთარ რაგიმოვმა, იური შეპეტკოვმა, სოსო კორძახიამ, ალექსი და ვალერი ბორტნიკოვებმა.

**მზია ერისთავი.**

**17 დეკემბერს** საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნური კომპლექსის შენობის კონფერენცდარბაზში (ა. წერეთლის პროსპექტი 95-ა) გაიმართება ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ V რესპუბლიკური **პლენუმი.**

**დასაწყისი 15 საათზე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27; „მერანი“ — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:**
68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 08970